

Ketevan Mamasakhlisi

ქეთევან მამასახლისი

Tbilisi Theological Academy and Seminary

თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

An Ancient Georgian Translation of the Life of Makari the Egyptian

წმინდა მაკარი ეგვიპტელის ცხოვრების ძველი ქართული თარგმანი

St. Serapion of Thmuis, a disciple of Anthony the Great, provides an especially rich corpus regarding the life and ascetic labors of the blessed Macarius.

A keimenic edition of the saint's life has survived in Georgian, with the author being anonymous.

The Old Georgian translation of the Life of Macarius the Great has survived in the form of a few manuscript copies.

Analogies to biblical characters appear many times throughout the work.

Two forms of ascetic labor have been well-defined within the work.

Many miracles performed by Blessed Macarius have been included in the "Life".

Keywords: Macarius, Keimenic edition, Biblical, Georgian

საკვანძო სიტყვები: მაკარი, კეიმენური გამოცემა, ბიბლიური, ქართული

შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში პირველი მეუდაბნოე მამების ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი თხზულებები საინტერესო ცნობებს გვაწვდიან არა მარტო დიდი ასკეტი მოსაგრეების შესახებ, არამედ იმ ეპოქის საეკლესიო ცხოვრების გასაცნობად. ისინი ძირითადად წარმოდგენილია საგანგებოდ შექმნილ კრებულებში, ე.წ. მრავალთავებში, რომლებსაც როგორც სულიერი, ისე პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა ბერ-მონაზონთა ცხოვრებაში. პირველი მეუდაბნოე მამების: პავლე თეზაიდელის, ანტონი დიდის, ონოფრე განშორებულის, სვიმეონ მესვეტის „ცხოვრებათა“ თუ სხვა ასკეტ მოსაგრეთა გვერდით ქართულ ენაზე შემოგვრჩა „მაკარი ეგვიპტელის ცხოვრება“. ამ დიდი მამისადმი ინტერესი მისი თხზულებების ქართულ ენაზე გადმოღებითაც გამოვლინდა. დღემდე მოღწეულია მაკარი ეგვიპტელის ორმოცდაათი საუბარი და ეპისტოლეები, რომელთაგან ოცდაექვსი სიტყვა და ორი ეპისტოლე ძველ ქართულ ენაზეა დაცული (ნინუა, 1982). აღნიშნული თხზულებების ავტორი ადამიანის სულის მიღმიურ სამყაროსთან მიახლების გზად სწორედ ასკეტურ მოღვაწეობას მიიჩნევს. თავად გამოცდილი მოსაგრე ბერ-მონაზვნების ღვაწლს ადარებს მარტვილებისას და ამბობს: „იგივე წამებაა ჭირთაჲ მოითმინეს კულა ეშმაკისა მიერ, რომელთა იგი აღძრნეს ტანჯვად მათდა“ (ნინუა, 1982, გვ. 375).

ისტორიული წყაროების თანახმად, მაკარი ეგვიპტელმა (+390) ღირსეულად განაგრძო ანტონი დიდის გზა. მან დააარსა ოთხი სამონასტრო ცენტრი, სადაც არაერთი ბერი დამკვიდრდა. თავად მაკარი მოღვაწეობდა სკიტის უდაბნოში, რომელიც განსაკუთრებული სიმკაცრით გამოირ-

ჩეოდა. სწორედ აქ, ამ მკაცრ პირობებში, ჩაუყარა მან საფუძველი ანაქორეტთა განმარტოებულ მოღვაწეობას.

„მკაცრი დიდის ცხოვრების“ ქართული თარგმანის მიხედვით, როცა ეს წმინდა მამა ნიტრიის უდაბნოში პირველად მივიდა, ანტონი დიდისა და პავლე თებელის გარდა, ამ ადგილებში ჯერაც არავინ მოსაგრეობდა. „ჯერეთ არღა იყვნეს მონასტერნი, ვითარცა პირველ ვთქუთ, არცალა მოქალაქობანი უდაბნოსანი, გარნა ხოლო დიდი იგი მონაზონთა შორის ანტონი მარტოებით მკვდრ იყო უდაბნოსა.... და კუალად პავლესიცა თებელისაჲ თქუმულ არს, პირველ მისსა ჯდომად ქუაბსა რასმე ერთსა უშინაგანესისა უდაბნოსასა დაყუდებით და მარტოებით“ (A 129, 57v).

მკაცრი დიდის სულიერი გამოცდილების შესახებ მოგვითხრობენ როგორც საეკლესიო ისტორიკოსები: პალადი ჰელენოპოლელი, სოკრატე სქოლასტიკოსი, რუფინუსი, სოზომენე თუ წმ. ისააკ ასური, ასევე, პატერიკული კრებულები.

ღირსი მკაცრი ეგვიპტელის „ცხოვრების“ ავტორი ანტონი დიდის მოწაფე, სერაპიონ თმუისელია, თუმც, თხზულებაში, რომელიც ჩვენ შემოგვრჩა, აღნიშნული ავტორის მიერ მოთხრობილ ისტორიასთან ერთად თავმოყრილია სხვადასხვა ავტორისგან ნასესხები ცნობები ამ დიდი ასკეტი მამის შესახებ. ძველი VII საუკუნით თარიღდება. თხზულების ქართველი მთარგმნელი უცნობია, ჩვენს ხელთ არსებული ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები კი ცნობილია, როგორც კიმენური რედაქცია.

გარდა დასახელებული ძეგლისა, ქართულ ენაზე მკაცრი დიდის მოღვაწეობის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ქართულ აპოფთეგმატურ კრებულში (დევალი, 1974, გვ. 119-136), პალადი ჰელენოპოლელის „ლავსაიკონის“ ეფრემ მცირისეული თარგმანში (მამასახლისი, 2010, გვ. 51-56, 223-227), თეოფილე ხუცესმონაზვნის „მამათა სწავლანსა და თხრობანში“ (დევალი, ჩიტუნაშვილი, 2014, გვ. 277-297). ამ დიდი მამის ცხოვრებას ყველაზე დაწვრილებით და სრულყოფილად მისი ბიოგრაფი, სერაპიონ თმუისელი, გადმოსცემს.

„მკაცრი ეგვიპტელის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი საინტერესოდ მოგვითხრობს არა მარტო ამ წმინდა მამის, არამედ მისი მშობლების შესახებაც. ამგვარი ინფორმაცია ჩვენამდე მოღწეულ არცერთ სხვა წყაროში არ არის დაცული. ავტორის უწყებით, ისინი შვილის დაბადებამდე ზემო ეგვიპტეში ცხოვრობდნენ და ბიბლიურ აბრაამსა და სარას ემსგავსებოდნენ არა მარტო თავიანთი სახელებით, არამედ ცხოვრების წესითაც. თავად ეს დიდი ასკეტი მამა მშობლების ქვემო ეგვიპტეში გადმოსახლების შემდეგ დაიბადა. აღნიშნული ისტორია საინტერესოა იმ მხრივაც, რომ საყურადღებო ინფორმაციას გვაწვდის იმ პერიოდის ეგვიპტის გასაცნობად, სადაც ეს-ესაა ფეხს იდგამს ასკეტიზმი, რომლის წარმოშობასაც დიდად შეუწყო ხელი ადგილობრივმა ბუნებრივმა გარემომ და მისი მოსახლეობის მჭვრეტელობითმა ბუნებამ, რომელიც მიმართული იყო მაღალი იდეალების შესამეცნებლად (ტერნოვსკი, 2017, გვ. 83). ამასთან, გვაცნობს იმ მხარის მოსახლეობის ყოფით ცხოვრებას, მათ ინტერესებსა და ცხოვრების წესს.

ბიოგრაფის უწყებით, წმინდანის დაბადება სასწაულებრივი იყო. დიდი ხნის უშვილო ცოლქმარს მხოლოდ უფლის სასწაულებრივი შეწევნის შემდეგ შეეძინა შვილი. მკაცრი დიდი ბავშვობიდან გამოირჩეოდა თავისი სულიერი მოღვაწეობით. ის ყრმობის ასაკიდან ეკლესიას ემსახურებოდა, მოგვიანებით კი, როცა საერო ცხოვრება დატოვა, სულიერ რჩევებს აძლევდა თავის მოწაფეებს. მის გონიერებასა და სიბრძნეზე მოგვითხრობენ ბერძნული და ქართული აპოფთეგმები, ასევე, პალადი ჰელენოპოლელი. ეს უკანასკნელი მას გამორჩეულ მონაზვნად მოიხსენიებს. ბავშვობიდანვე მთავარი გმირის გამორჩეულობის გამოკვეთა ჰაგიოგრაფიული მწერლობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანია. ამ ნიშნით ერთმანეთს ემსგავსებიან როგორც ბიზანტიური, ასევე ქართული ჰაგიოგრაფიული მწერლობის გმირები: ანტონი დიდი, სვიმეონ მესვეტე, გრიგოლ ხანცთელი, გიორგი ათონელი და სხვ.

ქართულ აპოფთეგმათა კრებულში მკაცრი ეგვიპტელის შესახებ თხრობა მიმდინარეობს როგორც პირველ პირში, ასევე მესამე პირში. ამა თუ იმ ამბავს წინ წამმღვარებელი აქვს ანონიმი ავტორის ფრაზა: „გვთხრობდა თავისა თვისისათვის მამად მკაცრი და თქუა ...“, ანდა: „ბერძან ვინმე

წარმოგვთხრა მაკარისთვის“ და მისთ. თეოფილე ხუცესმონაზონი იმეორებს ქართულ აპოფთეგმათა კრებულში გადმოცემულ ამბებს. თუმცა, რედაქციულად სხვაობს აღნიშნული კრებულისგან.

ამბების გადმოცემის ასეთი განსხვავებული მიდგომა უფრო მეტად ასაბუთებს იმ მოსაზრებას, რომ მაკარი დიდის შესახებ არსებული ცნობები ვრცელდებოდა სხვადასხვა დროს როგორც ზეპირ, ისე წერილობითი წყაროებზე დაყრდნობით. ამასთან, მისი ცხოვრების წესი ერთნაირად იზიდავდა სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალსა თუ საუკუნეში მოღვაწე ქრისტიანებს, რომელთათვისაც განღმრთობის იდეალი ასკეტური მოღვაწეობა იყო.

რაც შეეხება ქართულენოვანი ლიტურგიკულ მწერლობის ნიმუშებს, აქ მაკარი ეგვიპტელის მოსახსენებელ დღედ დადებულია 8, და 21 იანვარი. თუმც, აღმოსავლური საეკლესიო ღვთისმსახურების უძველესი ძეგლი, იერუსალიმის ლექციონარი, რომელიც აღმოსავლურ საეკლესიო ტრადიციებს გადმოგვცემს, მას არ მოიხსენიებს. ლიტურგიკული ზეგლებიდან მაკარის ხსენება პირველად ფიქსირდება იოანე ქართველის კალენდარში, რომელიც თავის მხრივ, ოთხი კალენდრის მონაცემებს ეყრდნობა. აღნიშნულ ძეგლში მაკარის ხსენების დღეებად დადებულია 8 და 21 იანვარი (კეკელიძე, 2021, გვ. 39-40), თუმც, დაბეჯითებით ვერ ვიტყვით თუ რომელი მაკარი უნდა ვიგულისხმოთ მასში: მაკარი ალექსანდრიელი თუ მაკარი ეგვიპტელი. მაკარი ეგვიპტელი მოხსენიებულია დიდ სვინქსარში (დიდი სვინქსარი, 2017, გვ. 152), ასევე, იანვრის „თვენში“, რომელსაც ახლავს ამ წმინდა მამის განგებაც, ორივეგან წმინდანის ხსენების დღე დადებულია 19 იანვარს (თუენი, იანვარი, 2004, გვ. 361-368).

ბიზანტიური მწერლობის ისტორიაში მაკარი ეგვიპტელი გამორჩეული მოღვაწეა იმ მხრივაც, რომ მის სახელს უკავშირდება გარდაცვლილი ადამიანის მკვდრეთით აღდგენა. ამ ეპიზოდს ეხება ქართლ ენაზე არსებული ყველა წყარო ამ დიდი ასკეტი მამის შესახებ. თუმც, ამ წყაროებიდან „ლავსაიკონის“ ავტორი დაწვრილებით არ გადმოგვცემს ამ სასწაულს და მხოლოდ რამდენიმე სიტყვით შემოიფარგლება. დანარჩენი ძეგლები დეტალურად მოგვითხრობენ, თუ რა გახდა აღნიშნული სასწაულის აღსრულების მიზეზი. ანგარიშგასაწევია ის ამბავიც, რომ მკვდრეთით აღმდგარი ადამიანი, რომელიც წინარე ცხოვრებაში ქურუმი იყო, საუბრობს ჯოჯოხეთის სკნელებისა და იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც კონკრეტული ცოდვების გამო როგორ ისჯებიან.

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მკვდრეთით აღმდგარი წარმართის უწყებით, ამ სოფელში დარჩენილი ქრისტიანების ლოცვა დიდად შეეწეოდა წარმართებსაც. აღნიშნული ცნობა ერთობ საყურადღებოა საღვთისმეტყველო თვალსაზრისით და საგანგებო თეოლოგიურ ანალიზს მოითხოვს.

სიკვდილის თემას, ზოგადად, უმნიშვნელოვანესი ადგილი ეთმობა მაკარი დიდის ცხოვრებასა და შემოქმედებაში. ამ თემატიკას თავისებურად აგრძელებს კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ჩემ მიერ მიკვლეული ერთი აპოკრიფული ტექსტი, რომელიც მოგვიანო ხანისაა, დაცულია A-1076 ხელნაწერში (1862 წ.). აღწერილობის თანახმად, აღნიშნულ ხელნაწერში მოთავსებული იყო „მაკარი მეგვიპტელის ცხოვრების“ მოგვიანო ხანის ნუსხა, მაგრამ ხელნაწერის ნახვამ სულ სხვა სურათი გვიჩვენა. ამ ღირსი მამის „ცხოვრების“ ნაცვლად სრულიად განსხვავებული ფორმის და შინაარსის ტექსტი გამოვლინდა. ჩემი დაკვირვებით, ესაა აპოკრიფული ჟანრის ნაწარმოები, დიალოგური ფორმით წარმოდგენილი, რომლის ანალოგი არცერთ სხვა ქართულენოვან ხელნაწერში არ დასტურდება და ვერც სხვა უცხოურ წყაროებში ჯერჯერობით ვერ მივაკვლიე. ხელნაწერი ძალზე დაზიანებულია და ჭირს შინაარსის სრულყოფილად აღქმა. ხელნაწერს ბოლოში დართული აქვს გადამწერის ანდერძი და შესრულების დრო: „აღიწერა უღირსის მონისა ღმრთისა დარისპან აბაშიძისაგან წელსა ჩყვბ-სა, თიბათვის კდ-სა დღესა“, 1862 წლის 14 ივლისს. მისი გადამწერი კვინმე დარისპან აბაშიძეა.

აღნიშნულ ძეგლში მაკარი ეგვიპტელი ესაუბრება უფლისგან მოვლენილ ანგელოზს იმის შესახებ, ხელეწიფებათ თუ არა ახლობელ ადამიანებს გარდაცვალების შემდეგ ერთმანეთის ცნობა. როგორც ჩანს, მკვდრეთით აღდგომის თემატიკამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ქართულ საზოგადოებაში და მოგვიანებით შეიქმნა აპოკრიფული ხასიათის თხზულება, სადაც უფრო განივრცო

აღნიშნული საკითხი, რათა დაეკმაყოფილებინა მკითხველის ინტერესები მიღმიურ სამყაროში ადამიანთა სულების მდგომარეობის შესახებ (მამასახლისი, 2021, გვ. 109-113).

აღდგომის თემატიკის აქტუალობა განაპირობა მაკარი ეგვიპტელის „ცხოვრებაში“ ჩართულმა ერთმა ეპიზოდმა შეცდომილი მოღვაწის შესახებ, რომელიც ნაწარმოების ავტორის უწყებით, ჯიუტად იმეორებდა ყველას წინაშე, რომ „შეუძლებელ არს შემდგომად ჯორცთა განხრწნისა კუალად აღდგომა“. აღნიშნულმა მწვალებლობამ ეკლესიის ისტორიაში იარიკელთა სექტის სახელი მიიღო მისი შემოქმედის, იერაქეს, სახელის შესაბამისად.

ანალოგიური ამბის მთხრობელი №23 აპოფთეგმატური კრებულში აკონკრეტებს ამ კაცის მსოფლმხედველობის არსს: „შეიყვანა იგი წვალეზასა მას, რომელსა ჰრქვიან იარიკელთა“. * ჩვენ შემთხვევაში ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ მხოლოდ მაკარი დიდმა შეძლო შემცდარი კაცი და მის კვალს შემდგარი ასობით ადამიანი გარდაცვლილი წარმართი ქურუმის გაცოცხლებით დაეჯერებინა მკვდრეთით აღდგომის ჭეშმარიტებაში.

სერაპიონ თმუისელის ავტორობით შემორჩენილი „მაკარი ეგვიპტელის ცხოვრება“ არასოდეს დაკარგავს აქტუალობას იმ მკითხველისათვის, რომელიც სულიერი ხსნის გზებს ეძიებს. იგი გვასწავლის, რომ ადამიანს არ ძალუძს უფლის გზაზე სვლა სულიერი მოძღვრის გარეშე. თხზულების თანახმად, სამი წელი უდაბნოში განმარტოებით მოღვაწე წმინდა მამამ „ვერ შესაძლებელ ჰგონა, თვნიერ მოძღვრისა და თანაშემწისა, წყობად წინააღმდეგომთა მათ არაწმიდათა გულისსიტყუათა და ვერცათუ წარმართებად მოქმედებასა შინა სათნოებათასა..“ ამიტომ, უპირველესად, მისი ძიება დაიწყო. ხოლო მოგვიანებით, როდესაც ასკეტურ ღვაწლში გამობრძმედილი თავად შეიქმნა წინამძღვარი, სულიერი საძმოს თითოეულ წევრს, მათი შესაძლებლობიდან გამომდინარე, განუწყესა სხვადასხვა მოვალეობანი: „რომელნი პოვნა მომზავებელად მორჩილებისა, სხუათა თანა ყოფად განუჩინა მათ. და რომელთა მარტოებად შეეტყუებოდა, დაყუდება განუწყესა მათ. რომელთამე ასწავა თხრად ქუაბებისა და სხუათა ასწავა თხზვად ფინიკისა“ და ა.შ. (A79, 66v). აღნიშნული ცნობა ერთგვარი წინასახეა იმ წეს-განგებისა, რომლებიც მოგვიანებით, სამონასტრო ტიპიკონის სახით ჩამოყალიბდა პახომი დიდის, ბასილი კაპადოკიელის, საბა განწმედილისა თუ სხვათა ანდერძებსა და სწავლებებში. აქვე შევნიშნავთ, რომ გარდა მაკარი ეგვიპტელის ბიოგრაფის ცნობისა, მოძღვრისა და სულიერი შვილების ურთიერთობის საკითხს ეხება მაკარი დიდის პირველი და მეორე ეპისტოლეები და პირველი ჰომილია, რომლებიც ასევე სამონასტრო ტიპიკონის წინასახედ შეგვიძლია მოვიაზროთ.

მაკარი დიდის ცხოვრებაში ვეცნობით ასკეტური მოღვაწეობის ორივე ფორმას: ანაქორეტიზმს და კვინობიტიზმს. თხზულების ავტორი გადმოგვცემს, თუ როგორ წარმოიშობა ბერმონაზვნური ძმობა მარტომყოფობის წიაღში. მისი უწყებით, წმ. მაკარიმ მონასტრული ცხოვრების წესი ანტონი დიდისგან ისწავლა და მისგანვე მიიღო კურთხევა „მრავალ სულთა მწყემსობისა“.

მაკარი დიდის სულიერი პორტრეტის გასაცნობად გვეხმარება მისი ჰომილიებიც, რომლის თანახმად, არსებობს სხვადასხვა სახის წინააღმდეგობა, რომელიც ქრისტიანს ხელს უშლის უფლისკენ სავალ გზაზე. ესაა: „სიგლახაკე დამახრწველი“, „სიმდიდრე დამაყენებელი“, „დიდება და პატივი კაცთა“, „სენნი და ვნებანი“, „უხილავნი ბრძოლანი“ და სხვა (ნინუა, 1982, გვ. 383). ამავე მამის თქმით, განსაცდელი ბრძენი ადამიანის სულს საუკუნო ცხოვრებას მიაახლოებს. თავად გამოცდილი მოღვაწე ასე არიგებს სულიერ შვილებს: „ვიქმნნეთ ჩუენ, ვითარცა გურდემლნი, რადთა ვიცემებოდით და არა დავჰსწნებოდით“. იგივე აზრი მეორდება მისი ბიოგრაფის, სერაპიონ თმუისელის სიტყვებშიც: „მოღუაწე ვართ კურნებისათჳს ვნებათა სულიერთადასა“ (A 129,50 v).

* იოანე დამასკელის თანახმად, აღნიშნული სექტა მომდინარეობს იერაქესგან, რომელიც ეგვიპტის ქალაქ ლეონტოპოლისიდან იყო. მისი მიმდევრები უარყოფდნენ სხეულის მკვდრეთით აღდგომას. მათი აზრით, თუ ყრმა გარდაიცვლებოდა, ვერ ცხონდებოდა, რადგან მას არ ეღვაწა სულის ხსნისათვის. იხ. წმ. იოანე დამასკელი 1992: 130-131. ანალოგიური განმარტება აქვს წმ. ეპიფანე კვიპრელსაც თავის ცნობილ შრომაში – „ოთხმეოცთა წვალეზათათჳს“, იხ. წმ. ეპიფანე კვიპრელი 2012: 136-137.

„მაკარი დიდის ცხოვრების“ ბოლო მონაკვეთი მოგვითხრობს თუ როგორ ემზადება ეს წმინდა მამა მარადისობაში გადასასვლელად. ავტორი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ ერკინებიან ჰაერის მცველები მოღვაწის სულს სულიერ საფეხურებზე ასვლისას. იგი სულიერი სიმდაბლის და გამძლეობის შეუდარებელ მაგალითს გვიჩვენებს და უფლის მარჯვენით ჯდომის პატივის ღირსი ხდება. საყურადღებოა ისიც, რომ მას სიკვდილის წინ ანტონი დიდი და პახომი დიდი ეცხადებიან და ამხნეებენ უფლის წინაშე სავალ გზაზე. ერთი მხრივ, ანაქორეტული ცხოვრების წესის დამფუძნებლის, ანტონი დიდის, გამოცხადება და, მეორე მხრივ, კვინობიტური ცხოვრების წესის პატრიარქის, პახომი დიდისა, გვაფიქრებინებს, რომ მაკარი დიდის მოღვაწეობა მოიცავს სულიერი მოსაგრეობის ორივე ფორმას: მარტომყოფობასაც და ბერმონაზნურ ძმობასაც.

ნუსხები

მაკარი მეგვიპტელის „ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანის დაცულია სამ ნუსხაში: A-129, A-79, ჯერ. 17. ამათგან ორი: A-129, A-79 თარიღდება XII-XIII საუკუნეებით, მესამე – jer. 17 კი – XII-XVI საუკუნეებით. როგორც უკვე ვახსენეთ, მოგვიანო ხანის აპოკრიფული ტექსტი მაკარი დიდის შესახებ კი დაცულია A-1076 ხელნაწერში და შექმნილია 1862 წელს.

დასახელებული ნუსხებიდან (A129, A 79, jer. 17) A 129 ხელნაწერი ყველაზე გამორჩეულია. ის ქრონოლოგიურად ყველაზე ძველია, ამასთან, ყველაზე სრულია და ტექსტობრივადც გამორჩეული. მაკარი მეგვიპტელის „ცხოვრება“ დასახელებულ ნუსხაში პავლე თებელისა და ანტონი დიდის ცხოვრებათა შემდეგაა. ჩვენი აზრით, იგი შედგენილია, როგორც მრავალთავი, სადაც მეუდაბნოე მამების ცხოვრება დალაგებულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. ერთი სიტყვით, ჩვენ წინაშეა ერთ-ერთი უძველესი კრებული, ე.წ. მრავალთავი, რომელიც შედგენილია გარკვეული კანონზომიერების პრინციპით. კერძოდ, გათვალისწინებულია როგორც წმინდანთა სამოღვაწეო გეოგრაფიული არეალი, ასევე, ეპოქა და სხვ. ეს ყოველივე კი ერთხელ კიდევ ამტკიცებს მეცნიერთა გარკვეული ნაწილის მოსაზრებას, რომ მრავალთავების შექმნის თავდაპირველი დანიშნულებ სწორედ წმინდანთა ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი თხზულებების თავმოყრა იყო.

მაკარი მეგვიპტელის „ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანი, მართალია, კიმენურ რედაქციას განეკუთვნება, თუმც, მხატვრულ სახეთა მრავალფეროვნებით, წმ. წერილიდან შესაბამისი პასაჟების მოხმობით თუ ვრცელი თეოლოგიური მსჯელობებით, ჩვენი აზრით, სცილდება კიმენური რედაქციისთვის დამახასიათებელ სიმარტივეს და სავსებით შესაძლებელია, რომ იგი მეტაფრასულ რედაქციად მივიჩნიოთ, არც ისაა გამორიცხული, უცნობმა ქართველმა მთარგმნელმა განავრცო თხზულების ბერძნული დედანი მასში ბიბლიური პარალელების მოხმობითა თუ მხატვრული ხერხების გამოყენებით. წმინდანის სულიერი სიმაღლის გადმოსაცემად ავტორი იყენებს მეტაფორას და მას უწოდებს „განწმედილ ჭურჭელს“, მდინარე ნილოსს ეწოდება „ოქრონაკადული“ მდინარე და მისთ.

ნაწარმოებში ჩვენ გვხვდება არაერთი კომპოზიტი და სახელთა წარმოქმნის ნიმუშები, როგორცაა: კეთილადმსახურება, მრავალღონე, ვერთავსმდებელი, ოქრონაკადული, წინააღწარმეცნიერი, ყოვლადსახიერი, მარტოდმყოფება, პურისმტე, საბავრუკე, საფასე, მეკერპე და სხვ. უცნობ ქართველ მთარგმნელს ხშირად უცვლელად გადმოაქვს სამოხელეო ტერმინები, რაც ბერძნული ენის გავლენაზე მიუთითებს. ესენია: პროპატიკი, სფურიდი და სხვ. ჩვენ დაბეჯითებით ვერაფერს ვიტყვით, რადგან არ გვაქვს არც თხზულების ბერძნული დედანი და არც ქართველი მთარგმნელია ცნობილი, თუმც, მხატვრული დეკორის ასეთ სიმრავლეს ათონური მთარგმნელობით სკოლის საწყისებთან მივყავართ.

ბიბლიური პარადიგმები

„მაკარი დიდის ცხოვრებაში“ არაერთგზის ჩნდება ანალოგიები ბიბლიურ პერსონაჟებთან. ავტორი მაკარი დიდის მშობლების უშვილობაზე საუბრისას პარალელს ბიბლიურ პერსონაჟებთან: აბრაამსა და სარასთან ავლებს. წმინდანის მღვდელმსახური მამა ასევე შედარებულია ბიბლიურ

აარონთან და ზაქარიასთან, რომელიც მათ მსგავსად, „შემწირველად საღმრთოთა საიდუმლოთა განჩინებულ იყო“, ხოლო დედა „სარაჲს მიმსგავსებულ იყო... კეთილითა ქცევითა და წესიერებითა“. მაკარი დიდის მშობლებზე, აბრაჲსა და სარაზე, მოწვეული განსაცდელის მხატვრულად გადმოცემით ნაწარმოების ავტორი სათქმელს მეტ სიმძაფრეს სძენს: „მარადისმოშურნემან კეთილისამან და ვერ თავსმდებელმან ნათესავისა ჩუენისა წარმატებისამან მიიღო მახვილი საწერტელი შურისაჲ“.

„ცხოვრების“ ერთ ადგილას მეორდება ბიბლიური სასწაულიც: წმ. მაკარის, მოსე წინასწარმეტყველისა და ღვთის რჩეული ერის მსგავსად, წინ უძღვის ცეცხლოვანი სვეტი.

წმ. წერილის შესაბამისი ადგილები თხზულებაში ზოგჯერ პერიფრაზის სახითაა გადმოცემული, ზოგჯერ მათი იდენტურია, ან გადმოცემულია ოდნავ განსხვავებული ფორმით.

„მაკარი მეგვიპტელის ცხოვრებაში“, მსგავსად ბიზანტიური აგიოგრაფიული თხზულებებისა, ჩართულია გამოცხადებები და სასწაულები. ძველი აღთქმის მამამთავარი აბრაჲსი რამდენიმეჯერ ეცხადება თავის თანამოსახელეს, მაკარი დიდის მამას და აუწყებს ღვთის განგებულებას.

წმინდანის მიერ აღსრულებული სასწაულები ძალზე ჩამოკგავს სახარებისეულ თხრობას. მაგ. მაკარის მიერ გარდაცვლილი ადამიანის მკვდრეთით აღდგინება შედარებულია მაცხოვრის მიერ ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს გაცოცხლებასთან.

ამდენად, ჩვენ წინაშეა ქართული ნათარგმნი ჰაგიოგრაფიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიმუში, რომელიც ჩვენს ყურადღებას იპყრობს როგორც წმინდად ასკეტური თვალსაზრისით, ამავე დროს, გვაფიქრებინებს, რომ მისი სახით საქმე გვაქვს დიდად ერუდიერებულ ქართველ მთარგმნელთან, რომელიც ბიბლიური პარადიგმებითა და მხატვრული დეკორის გამოყენებით ახალ სულს ჰბერავს მას.

გამოყენებული ლიტერატურა:

გიორგი მთაწმინდელი (2017). დიდი სვინაქსარი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს და სამეცნიერო აპარატი დაურთეს მანანა დოლაქიძემ და დალი ჩიტუნაშვილმა, თბილისი: კორნელი კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

დვალი, მ. (1974). შუა საუკუნეთა ნოველების ძველი ქართული თარგმანები, II, ანბანურ ანონიმური პატერიკები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა მანანა დვალმა, თბილისი: „მეცნიერება“.

წმინდა ეპიფანე კვიპრელი (2012). ოთხმოცთა წვალებათათვის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო სოსო მახარაშვილმა, თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა.

თუენი, იანვარი (2004). ბოდბე: ბოდბის წმ. ნინოს დედათა მონასტერი.

თეოფილე ხუცესმონაზონი (2014). მამათა სწავლანი და თხრობანი, III, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს მანანა დვალმა და დალი ჩიტუნაშვილმა, თბილისი: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.

წმ. იოანე დამასკელი (1992). მწვალებლობათა შესახებ, სიტყვა მართლისა სარწმუნოებისა, IV, 130-131, თბილისი: ხელოვნება.

კეკელიძე, კ. (2021). იოანე ქართველის კალენდარი, თბილისი: „წიგნის სავანე“.

მამასახლისი, ქ. (2010). წმინდა პალადი ჰელენოპოლისის ლავსაიკონის ეფრემ მცირისეული თარგმანი, კრიტიკული ტექსტი დაადგინა, თანამედროვე ქართულ ენაზე გადმოიღო, შესავალი, შენიშვნები, სახელთა საძიებელი და ლექსიკონი დაურთო ქეთევან მამასახლისმა, საეკლესიო ბიბლიოთეკა, XIV, თბილისი: ახალი ივირონი.

მამასახლისი, ქ. (2021). ღირსი მაკარი ეგვიპტელი ძველ ქართულ სასულიერო ლიტერატურაში, წიგნი გამოსაცემად მოამზადა. წმინდა სერაპიონ თმუისელის „მაკარი ეგვიპტელის ცხოვრების“ ძველი ქართული თარგმანის კრიტიკული ტექსტი დაადგინა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ქეთევან მამასახლისმა, თბილისი: ალილო.

ნინუა, გ. (1982). ფსევდომაკარის თხზულებათა ქართული ვერსია, თბილისი: „მეცნიერება“.
ტერნოვსკი, ს.ა. (2017). მართლმადიდებელი ეკლესიის აღმოსავლეთის საპატრიარქოები, რუსულიდან თარგ-
მნა ნორა გაბრიადემ, თბილისი: თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის გამომცემლობა.

წყაროები:

A 129 (XII-XIII), დაცულია კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.
A 79 (XII-XIII), დაცულია კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.
Jer. 17 (XII-XVI), დაცულია კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.
A 1076 (1862), დაცულია კ. კეკელიძის სახ. საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.

References:

- Dvali, M. (1974). Shua sauk'uneta novelebis dzveli kartuli targmanebi, II. Anbanur anonimuri p'at'erik'ebi. T'ekst'i gamosatsemad moamzada Manana Dvalma. [Old Georgian Translations of Medieval Novels, II, Alphabetical Anonymous Paterikas, the text was prepared for publication by Manana Dvali]. Tbilisi: „metsniereba“.
- Giorgi Mtats'mindeli (2017). Didi svinaksari, T'ekst'i gamosatsemad moamzades da sametsniero ap'arat'i daurtes manana dolakidzem da dali chit'unashvilma. [The Great Svinaksari, the text was prepared for publication and scientific equipment was added by Manana Dolakidze and Dali Chitunashvili]. Tbilisi: K'orneli K'ek'elidzis sakh. sakartvelos khelnats'erta erovnuli tsent'ri.
- K'ek'elidze, K'. (2021). Ioane Kartvelis k'alendari. [The Calendar of John the Georgian]. Tbilisi: „ts'ignis savane“.
- Mamasakhlisi, K. (2010). Ts'minda P'aladi Helenop'olelis lavsaik'onis eprem mtsiriseli targmani. K'ri-t'ik'uli t'ekst'i daadgina, tanamedrove kartul enaze gadmoigho, shesavali, shenishvnebi, sakhelta sadziebeli da leksik'oni daurto Ketevan Mamasakhlisma. saek'lesio bibliotek'a, XIV. [Saint Pallas of Hellenopol's Lavsaikon translation by Ephrem Mtsiri, critical text established, translated into modern Georgian, introduction, notes, name search and dictionary added by Ketevan Mamasakhlisi, Church Library, XIV]. Tbilisi: akhali ivroni.
- Mamasakhlisi, K. (2021). Ghirsi Mak'ari Egvip't'eli dzvel kartul sasuliero lit'erat'urashi. Ts'igni gamosa-tsemad moamzada, Ts'minda Serap'ion Tmuiselis „Mak'ari Egvip't'elis tskhovrebis“ dzveli kartuli targmanis k'rit'ik'uli t'ekst'i daadgina, gamok'vleva da leksik'oni daurto Ketevan Mamasakhlisma. [Venerable Macarius the Egyptian in ancient Georgian sacred literature, prepared the book for publication. Critical text of the old Georgian translation of Saint Serapion of Tmuiseli's "Life of Macarius the Egyptian" established, research and dictionary added by Ketevan Mamasakhlisi]. Tbilisi: alilo.
- Ninua, G. (1982). Pseudomak'aris tkhulebata kartuli versia. [Georgian version of the works of Pseudo-Macarius]. Tbilisi: „metsniereba“.
- Teopile Khutsesmonazoni (2014). Mamata sts'avlani da tkhrobani, III. T'ekst'i gamosatsemad moamzades, shesavali, leksik'oni da sadzieblebi daurtes Manana Dvalma da Dali Chit'unashvilma. [The Teachings and Sayings of the Fathers, III, the text was prepared for publication, with an introduction, dictionary and search terms by Manana Dvali and Dali Chitunashvili]. Tbilisi: khelnats'erta erovnuli tsent'ri.
- T'ernovsk'i, S.A. (2017). Martlmadidebeli ek'lesiis aghmosavletis sap'at'riarkoebi. Rusulidan targmna Nora Gabriadzem. [Patriarchates of the Eastern Orthodox Church, translated from Russian by Nora Gabriadze]. Tbilisi: Tbilisis sasuliero ak'ademiisa da seminariis gamomtsemloba.
- Ts'minda Ep'ipane K'vip'reli (2012). Otkhmeotsta ts'valebatatuis. Tekst'i gamosatsemad moamzada, gamok'vleva da sadzieblebi daurto Soso Makharashvilma. [On the Eighty-Fours, the text was prepared for publication, research and search engines were added by Soso Makharashvili]. Tbilisi: Tbilisis sasuliero ak'ademiisa da seminariis gamomtsemloba.
- Ts'm. Ioane Damask'eli (1992). Mts'valeblobata shesakheb. Sit'q'va martlisa sarts'munoebisa, IV. [On Heresies, The Word of the True Faith, IV]. Tbilisi: khelovneba, 130-131.
- Tueni, ianvari (2004). Bodbe: Bodbis Ts'm. Ninos dedata monast'eri.

Sources:

- A 129 (XII-XIII). Datsulia K'. K'ek'elidzis sakh. sakartvelos khelnats'erta erovnul tsent'rshi. [Preserved in the National Center of Manuscripts of Georgia under the name of K. Kekelidze].
- A 79 (XII-XIII). Datsulia K'. K'ek'elidzis sakh. sakartvelos khelnats'erta erovnul tsent'rshi. [Preserved in the National Center of Manuscripts of Georgia under the name of K. Kekelidze].
- Jer. 17 (XII-XVI). Datsulia K'. K'ek'elidzis sakh. sakartvelos khelnats'erta erovnul tsent'rshi. [Preserved in the National Center of Manuscripts of Georgia under the name of K. Kekelidze].
- A 1076 (1862). Datsulia K'. K'ek'elidzis sakh. sakartvelos khelnats'erta erovnul tsent'rshi. [Preserved in the National Center of Manuscripts of Georgia under the name of K. Kekelidze].